

მკვლევლობა ძველ ქართულ სამართალში

ლევან დარბაიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა. ასპირანტი.

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი მიმოიხილავს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულს - მკვლელობას. მასში მოცემულია მკვლელობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება ძველი ქართული სამართლის მიხედვით. ნაშრომში ჩამოყალიბებულია მკვლელობის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც დამკვიდრებული იყო ძველ ქართულ სისხლის სამართალში, განხილულია მკვლელობის დანაშაულის ცალკეული ელემენტები: ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი, სუბიექტური მხარე. ნაშრომი ეხება მკვლელობის ობიექტისა და ობიექტური მხარის თავისებურებებს, ასევე, მიმოიხილავს მკვლელობის სუბიექტთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა მკვლელობის ჩამდენი პირის ასაკი და შერაცხაობა. ამასთან, მოცემულია სისხლის სამართლის თეორიაში დამკვიდრებული ბრალის განმარტებები (ფსიქოლოგიური და ნორმატიული) და განხილულია ბრალეულობის პრინციპი საქართველოს საეკლესიო და საერო ხასიათის ძეგლების მიხედვით. ნაშრომში გაშუქებულია მკვლელობის ცალკეული სახეები დანაშაულის ობიექტური მხარის მიხედვით, განხილულია ცალკეული მაგალითები. მასში საუბარია მკვლელობის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ჯგუფურ ფორმებზე გიორგი ბრწყინვალეს სამართლის მიხედვით. ნაშრომი მოკლედ მიმოიხილავს, ასევე, გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის ცალკეულ სახეებს.

საკვანძო სიტყვები: საერო და საეკლესიო ხასიათის სამართლის ძეგლები, მკვლელობის აღმნიშვნელი ტერმინები, მკვლელობის ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი, სუბიექტური მხარე, მკვლელობის სუბიექტის ასაკი და შერაცხაობა, ბრალის ფსიქოლოგიური და ნორმატიული განმარტებები

მსოფლიოს იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის ძირითად, ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ისინი ცალკე განხილვის საგანია. “არსთა გამრიგემ ადამიანებს უბოძა გარკვეული ხელშეუვალი უფლებანი. ადამიანის თანდაყოლილი, ხელშეუხებელი უფლებებია სიცოცხლე, თავისუფლება და სწრაფვა ბედნიერებისაკენ”.

[1]

სიცოცხლე ადამიანის უფლებებს შორის ყველაზე ძვირფასი და ფუნდამენტური უფლებაა და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულად იყო დაცული სისხლისსამართლებრივი წესით.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებს ქართულ სისხლის სამართალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მათ შორის ჩვენამდე მოღწეულ ქართულ სამართლის წყაროებში მკვლელობა, სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან შედარებით, ყველაზე სრულყოფილად არის განხილული.

მკვლევლობა ერთ-ერთ გავრცელებულ და მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და მისი ჩადენისათვის, შესაბამისად, უმკაცრესი სასჯელიც იყო დაწესებული. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ გ. მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”, სადაც აღწერილია, თუ როგორ განიზრახა ანჩის ეპისკოპოსმა - ცქირმა თავისი მამხილებლის - გრიგოლ ხანძთელის მოკვლა და გარკვეული ანაზღაურების ფასად “ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა” ხსენებული დანაშაულის აღსრულება. აღნიშნულ ეპიზოდში ნათლად ჩანს, რომ მე-9 საუკუნის საქართველოში არც თუ ისე იშვიათი იყო ანგარებითი მოტივით ჩადენილი მკვლევლობები.

აღსანიშნავია, ასევე, გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში აღწერილი ფაქტებიც, როდესაც ათონის ქართველთა მონასტერში ექვთიმე მთაწმინდელი ორჯერ, სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს: პირველად, როდესაც გაბოროტებულმა მონაზონმა სცადა მისი მოკვლა მახვილით, ხოლო მეორედ, როდესაც მონასტრის მებოსტნემ განიზრახა ექვთიმე მთაწმინდელის მკვლევლობა.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, “თუ რამდენად დაუმონებელი ყოფილა ჯერ კიდევ მაშინ ადამიანის ვნებათა ღელვა: თუ კი მონასტერშიაც, მონაზონებს შორის, რომელთაც ყოველსავე ქვეყნიურზე და ხორციელზე უარი ჰქონდათ ნათქვამი და მართოდენ თავიანთ სულიერსა და ზნეობრივ განსპეტაკებაზე უნდა ეზრუნათ, შესაძლებელი ყოფილა, რომ ადამიანი გულისწყრომას კაცის კვლამდე მიეყვანა, რამდენად უფრო ხშირი იქმნებოდა იმ დროს ეს შემზარავი ბოროტმოქმედება ხალხში, სოფლიოთა შორის”. [2]

მკვლევლობის სხვადასხვა სახეების აღსანიშნავად, ძველ ქართულ სისხლის სამართალში განსხვავებული ტერმინები გამოიყენებოდა, როგორცაა “მოკლვაი”, “კაცისკვლაი”, “მკულელობა”.

ღალატით ჩადენილი მკვლევლობის აღსანიშნავად X საუკუნემდე გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინები: ჩასაფრების აღსანიშნავად - “მზირად წარსლვაი”, ან “მზირ ყოფაი”, ზურგიდან თავდასხმის აღსანიშნავად - “კაცისკლვაი მიპარვითა”, ხოლო აღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირს ეწოდებოდა “კაცისმკულელი მიპარვითა”.

ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ საწამლავის გამოყენებით ჩადენილ მკვლევობას ძველ ქართულ სისხლის სამართალში ეწოდებოდა “მწამლველობაი”, ხოლო აღნიშნული დანაშაულის სუბიექტს - “მწამლველნი”.

მკვლევლობის ობიექტად ძველ ქართულ სამართალში მოიაზრებოდა მხოლოდ სხვა ადამიანის და არა საკუთრი სიცოცხლე. ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სხვადასხვა საკანონმდებლო კრებულების მიხედვით, ადამიანის სიცოცხლე სისხლისსამართლებრივი წესით დაცული იყო დაბადებიდან სიკვდილამდე. მკვლევლობის დანაშაულის მსხვერპლი (ობიექტი) შეიძლება ნებისმიერი ასაკისა და სქესის პირი გამხდარიყო.

ნებელობითი ქმედება, ეს არის ადამიანის შეგნებული, მიზანსწრაფული ზემოქმედება მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე და გამოიხატება ორი მხრივ: ობიექტური და სუბიექტური მხრივ. სუბიექტური მხარე ეს არის ქმედების ფსიქოლოგიური მხარე, ხოლო ობიექტური მხარეში იგულისხმება ადამიანის ზემოქმედება ობიექტურ გარესამყაროზე ნებისყოფის გარეგანი გამოვლინებით ან მოქმედებისაგან თავის შეკავებით.

თანამედროვე სისხლის სამართალში მკვლევლობა ობიექტური მხრივ შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით (delictum commisionis), ასევე უმოქმედობით (delictum ommisionis).

ძველ ქართულ სისხლის სამართალში ძირითად კრიმინალიზებულია მოქმედებით ჩადენილი მკვლელობები, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სახის ზემოქმედებით. მაგალითად, აღსანიშნავია, გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში აღწერილი დანაშაულებრივი ფაქტი, როდესაც ათონის ქართველთა მონასტერში ექვთიმე მთაწმინდელი სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს: გაბოროტებულმა მონაზონმა სცადა მისი მოკვლა მახვილის ჩარტყმით. აღსანიშნავია, ასევე ექვთიმე მთაწმინდელის “მცირე სჯულისკანონში” მოყვანილი შემთხვევა, როდესაც ორსულ ქალს მუცლის მოსაშლელად ასმევინ საწამლავს.

იმის გათვალისწინებით, რომ მკვლელობა მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება, მისი შემადგენლობის დამთავრებულად ცნობისათვის სავალდებულოა კონკრეტული შედეგის - ადამიანის (მსხვერპლის) სიკვდილის დადგომა. ამ შემთხვევაში ჩადენილ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და ადამიანის სიკვდილს შორის არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედება იყო სიცოცხლის მოსპობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, რომლის განხორციელების გარეშეც დანაშაულებრივი შედეგი არ დადგებოდა.

ვიდრე უშუალოდ მკვლელობის სუბიექტს შევხებოდეთ, უნდა განხილულ იქნეს, თუ რა ძირითად მოთხოვნებს აწესებდა ძველი ქართული სისხლის სამართალი ზოგადად დანაშაულის სუბიექტისათვის.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, იმისათვის, რომ პირი მიგვეჩნია დანაშაულის სუბიექტად, სახეზე უნდა ყოფილიყო ორი ძირითადი პირობა: დანაშაულის ჩამდენი პირის ასაკი და შერაცხაობა.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს არაერთგვაროვანი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი. ცნობილია, მაგალითად ე.წ. რთული, ანუ რომაული სისტემა, რომელთანაც საკმაოდ ახლოს იდგა რომის სამართალი მისი განვითარების ბოლო ეტაპზე და ამიტომაც მიიღო ამ სისტემამ ეს სახელწოდება. მისი ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქიკური ძალები ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ განახლდებიან და განვითარების აღნიშნული პერიოდი სავსებით შეესაბამება ადამიანის განვითარების ძირითად ეტაპებს. ამ თვალსაზრისით ეს სისტემა განარჩევდა ე.წ. *infantes* - შვიდ წლამდე ბავშვობის ანუ უპირობო შეურაცხაობის პერიოდს; *impuberes* - ყრმობის პერიოდს - შვიდიდან 14 წლამდე და *minores* - 21, ხოლო ზოგჯერ 25 წლამდე, რომელთაც სასჯელი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უმსუბუქდებოდათ. ეს სისტემა აისახა სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის სისხლის სამართალშიც.

ჩვენი აზრით, ეს სისტემა გამოუსადეგარია, რაც, პირველ რიგში, ადამიანის ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობით მტკიცდება და გამორიცხავს ასეთი დაყოფის შესაძლებლობას. გარდა ამისა, აღნიშნულ სისტემაში არ არის გათვალისწინებული ადამიანის განვითარების ყველა დანარჩენი ფაქტორი.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ სისხლის სამართალში ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ რა ასაკიდან დგებოდა პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის.

იოანე მმარხველის კანონების თანახმად, პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა დაწესებულიყო 30 წლის ასაკიდან. თუმცა, ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, ექვთიმე მთაწმინდელმა, რომელმაც თარგმნა ი. მმარხველის კანონები, არ გაიზიარა 30 წლამდე პირის სრული შეურაცხაობის აღიარება

და აღნიშნულის ნაცვლად დააწესა ე.წ. “უსუბუქესი” სასჯელი ანუ მსუბუქად დასჯა, რასაც ასაბუთებს იმით, რომ ადამიანს 30 წლამდე ახასიათებს “უმეცრებაი გონებისაი” და “მხურვალეზაი ხორცთაი”. ამით, ფაქტიურად, შეიცვალა იოანე მმარხველის მიერ დადგენილი ნორმა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამგვარი ცვლილების შემდეგაც საეჭვოა, რომ ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის შერაცხვის ასაკად დაწესებული ყოფილიყო 30 წელი, “მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ 20-21 წლის ჭაბუკი უკვე სამხედრო მოღვაწეობისთვისაც სრულჰასაკოვნად ითვლებოდა.”[3] ივ. ჯავახიშვილი იქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუ უკანასკნელი ნორმა დამკვიდრებული იყო საქართველოში, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, შეურაცხველობის საზღვარი სქესობრივი სიმწიფის ასაკს - 15-16 წელს ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამხედრო ან სამოქალაქო სრულწლოვანებას - 21-22 წელს გადასცილებოდა.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას დანაშაულის სუბიექტის ასაკის შესახებ თავიანთ ნაშრომებში იზიარებენ მეცნიერები: ალექსანდრე ვაჩიშვილი და ვალერიან მეტრეველი.

ივ. ჯავახიშვილის ხსენებული დასაბუთება, ჩვენი აზრითაც, სწორად უნდა ჩაითვალოს.

დანაშაულის ჩამდენი პირის ასაკის შესახებ მითითებულია, ასევე, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც. 187-ე მუხლი განსაზღვრავს კონკრეტულ ასაკს, რომლის ქვევითაც ადამიანი ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს არ აგებდა. აღნიშნული მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად განსაზღვრულია 10 წელი, ხოლო ათ წლამდე მცირეწლოვანის მიერ ჩადენილი ქმედება გათანაბრებულია ე.წ. “ფათერაკთან” და ამ შემთხვევაში ქმედების ჩამდენის მშობლები დაზარალებულის სასარგებლოდ გაიღებენ გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ვ. მეტრეველის აზრით, “ფათერაკი” ამ შემთხვევაში არ ემთხვევა კაზუსს, იგი გაუფრთხილებლობასთან უფრო ახლოსაა, რადგან მშობლებს აკისრებს ქონებრივ პასუხისმგებლობას.[4]

მკვლელობის სუბიექტის ცნებასთან დაკავშირებულია შერაცხაობის საკითხი. ძველი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, შეურაცხადი პირი თავისუფლდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. საეკლესიო სამართალი იცნობს ადამიანის ორი სახის შეურაცხ ფსიქიკურ მდგომარეობას. ეს არის “უმეცრებაი გონებისაი” ანუ ისეთი სულიერი მდგომარეობა, როდესაც ადამიანს არ აქვს შეგნებული თავისი ქმედების მნიშვნელობა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგები და “ფრიადი უძლურებაი გონებისაი”, როდესაც სახეზეა ფსიქიკური დაავადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, “უმეცრებაი გონებისაი” გულისხმობს ადამიანის გონებრივ განუვითარებლობას, ხოლო “ფრიადი უძლურებაი გონებისაი” - პიროვნების სულით ავადმყოფობას. პროფესორ ალ. ვაჩიშვილის აზრით, შეურაცხაობის ეს ორი მდგომარეობა გამორიცხავდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. “არ შეგვიძლია დავუშვათ ისეთი მდგომარეობა მართლმსაჯულების სფეროში, როცა სულით ავადმყოფი ვითომც ბრალეულად ითვლებოდა და მას დაკისრებული ჰქონდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა”. [5]

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს პროფ. ვ. მეტრეველიც. ჩვენი აზრითაც, ასეთი მსჯელობა მართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან საქართველოს იმდროინდელი კულტურული და სამართლებრივი განვითარების დონის შესაბამისად, დაუშვებელია სულით ავადმყოფს ჩადენილი დანაშაულისათვის დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული სისხლის სამართალი იცნობს პასუხისმგებლობის ჯგუფურ ფორმას, ეს არის არა იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, არამედ ფიზიკურ პირთა ერთობლივი მოქმედება, რომელიც გამოხატავს ერთობლივ ბრალს. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს ადმინისტრაციის წარმომადგენლის - "განმგებლის" მკვლელობა ხევის ან მთელი სოფლის მიერ ითვალისწინებდა ერთობლივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, სისხლის დაურევებას და, გარდა ამისა, დანაშაულის სუბიექტთა რაოდენობის დადგენის შემდეგ, აკისრებდა მათ მოვალეობას, ყოველწლიურად გაეღოთ თითო ცხენი მუდმივი ბეგარის სახით სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.

ძველ ქართულ სისხლის სამართალში მკვლელობის სუბიექტურ მხარეს პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

დანაშაულის სუბიექტურ მხარეში იგულისხმება პირის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესი, რაც უშუალო კავშირშია მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან. ეს არის დანაშაულის ფსიქოლოგიური ანუ სუბიექტური შინაარსი და წარმოადგენს დანაშაულის შინაგან მხარეს.

სუბიექტური შერაცხვის პრინციპის მიხედვით, პასუხისმგებლობის საკითხი წყდება არამარტო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით გამოწვეული შედეგის მიხედვით, არამედ დანაშაულის სუბიექტის პიროვნების, მისი შინაგანი, სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით.

დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებულია ბრალის საკითხი. სისხლის სამართლის თეორიაში ბრალის ცნების შესახებ მრავალი წლის განმავლობაში ფართო დისკუსია მიმდინარეობდა. არსებობს ბრალის ორნაირი გაგება: ფსიქოლოგიური და ნორმატიული. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ბრალი არის ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. ნორმატიული, ანუ შეფასებითი გაგებით, ბრალი არის მორალურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება.

დიდი ხნის მანძილზე ბრალი საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში განიხილებოდა როგორც წმინდა ფსიქოლოგიური კომპლექსი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ბრალის მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიური გაგება მართებული არ არის, ვინაიდან ბრალის დროს ფსიქიკური დამოკიდებულების საგანი არის ფაქტები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ, ამიტომ ეს ფსიქიკური დამოკიდებულება მოიაზრება როგორც მოცემულობა, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული სუბიექტის ქცევის მორალურ-პოლიტიკურ შეფასებასთან. აქედენ გამომდინარე, ბრალი არის ყოველგვარი კი არა, არამედ მორალურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება.

გასაკიცხაობის შეფასებითი მომენტი ბრალის ცნებაში ადრეც აღინიშნებოდა ცალკეული ავტორების მიერ, განსაკუთრებით ეს მომენტი საფუძვლიანად დაასაბუთა მეცნიერმა - ვ. მაყაშვილმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალი არის მორალურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებაში აღიარებული ინტერესებისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, რამაც ცხადია გარეგანი გამოვლინება უნდა ჰპოვოს კონკრეტულ ქმედებაში, რომელიც იურიდიულად რელევანტური უნდა გახდეს სისხლის სამართლისათვის.

ბრალის ელემენტებს წარმოადგენენ შეგნება და ნება, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ბრალის შინაარსს. სწორედ ნებელობითი და ინტელექტუალური მომენტების შერწყმა ქმნის ბრალის ორ ფორმას: განზრახვას და გაუფრთხილებლობას.

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ზოგადი პრინციპია - *Nullum crimen sine culpa* - არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე. გერმანელი მეცნიერ-იურისტის, სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლის - ფრანც ფრონლისტის მოსაზრებით, ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის განვითარების დონე შეიძლება შეფასდეს ბრალის მიხედვით. სამართლებრივი თვალსაზრისით იმდენად განვითარებულია სახელმწიფო, რამდენადაც განვითარებულია ბრალის საკითხი.

საქართველო, ამ თვალსაზრისით, განვითარებული სახელმწიფოა. ბრალეულობის პრინციპი ასახულია როგორც საქართველოს საეკლესიო ასევე საერო ხასიათის ძეგლებში.

ექვთიმე მთაწმინდელის “მცირე სჯულისკანონის” მიხედვით, ქართული სამართალი იცნობდა ბრალის ორ ფორმას - განზრახვას, როგორც საკუთარი ნებით, ანუ “ნებსით” ჩადენილ მოქმედებას და გაუფრთხილებლობას, როგორც უნებლიე მოქმედებას. აღნიშნული სამართლის ძეგლში ბრალის ფორმების ცალკეული სახეების ერთმანეთისაგან გამიჯვნის მიზნით მოყვანილია დანაშაულის კონკრეტული შემთხვევები: მაგალითად, მკვლელობა, როდესაც დანაშაულის სუბიექტი არის ავაზაკი, რომელიც ანგარებითი მოტივით, ადამიანის გაძარცვის მიზნით კლავს მეორე ადამიანს. ამგვარი მკვლელობა, ე. მთაწმინდელის აზრით, არის განზრახ მკვლელობა.

მკვლელობის დასახასიათებლად ე. მთაწმინდელი, ასევე, ასახელებს მოწამვლით ჩადენილ მკვლელობას, რომელიც, მისი აზრით, “ნებსითი” ანუ განზრახი დანაშაულია.

მკვლელობა შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო, როგორც აშკარად გამოკვეთილი განზრახვით, ანუ პირდაპირი განზრახვით, ასევე, განზრახვასთან მიახლოებული მოქმედებით, ანუ არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით.

ე. მთაწმინდელის აზრით, მკვლელობა შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო გაუფრთხილებლობითაც, რასაც იგი უწოდებს გონების გარეშე, უნებლიე მოქმედებას. უნებლიე მოქმედება პირობითად შეიძლება დაიყოს ორ სახედ: უნებლიე მოქმედება, რომელიც არ იწვევს პასუხისმგებლობას და უნებლიე მოქმედება, რომელიც შეესაბამება გაუფრთხილებლობას და ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია დავასახელოთ მკვლელობის სხვადასხვა სახეები. მაგალითად, როდესაც ადამიანმა ხის ნაყოფის ჩამოგდების მიზნით ისროლა ქვა, რომელიც შემთხვევით მოხვდა სხვა ადამიანს და მოკლა იგი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს “ფათერაკს” ანუ კაზუსს და, შესაბამისად, მკვლელობის ჩამდენი პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან სახეზეა “სრულიად უნებელი” მოქმედება.

ე. მთაწმინდელი ასახელებს გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის სხვა მაგალითსაც, როდესაც ხელოსანი წვრთნის თავის შეგირდს ჯოხით ან შოლტით და ამ დროს ბავშვი შემოაკვდება. ამ დროს მწვრთნელის განზრახვა არის ბავშვის სწავლება და არა მისი მკვლელობა, თუმცა აღნიშნულ მოქმედებას მოჰყვება სიკვდილი. ე. მთაწმინდელის აზრით, ასეთი მოქმედება არის “უნებელი” ანუ გაუფრთხილებლობით ჩადენილი მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ასეთია მკვლელობის ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება ძველ ქართულ სამართალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. უგრეხელიძე, აშშ-ს კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება, თბილისი, 1997 წ., გვ. 231
2. ივ ჯავახიშვილი, თბზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბილისი, 1984 წ., გვ. 223
3. ივ ჯავახიშვილი, თბზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბილისი, 1984 წ., გვ. 201
4. ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2002 წ., გვ. 270.
5. ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I ტომი, თბილისი 1946 წ., გვ. 207

სტატია მიღებულია: 2005-05-20